



9588-13-1-2-201908291752



N 13-1/9588

29/08/2019

შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ რექტორს კონსტანტინე თოფურას

შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“

დირექტორებს: მანანა სანამეს და გიული ალასანიას

### რეკომენდაცია

#### აკადემიური მოსწრების ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

*შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20<sup>1</sup> და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად*

ბატონო კონსტანტინე,

ქალბატონო მანანა,

ქალბატონო გიული,

2018 წლის 18 თებერვალს, საქართველოს სახალხო დამცველს N2792/18 განცხადებით მომართა „საქართველოს უნივერსიტეტის“ სტუდენტმა [REDACTED] მ, რომლის მითითებით, იგი არის „საქართველოს უნივერსიტეტში“ არსებული დისკრიმინაციული რეგულაციის მსხვერპლი.

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, ინფორმაცია იქნა გამოთხოვილი „საქართველოს უნივერსიტეტიდან“ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან. სახალხო დამცველის წარმომადგენელი ასევე პირადად გაესაუბრა უნივერსიტეტის რექტორის თანაშემწეს [REDACTED] ს და იურისტს [REDACTED] ს.

#### 1. ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლის განმარტებით, „საქართველოს უნივერსიტეტში“ არსებული პრაქტიკის თანახმად, 2-ზე დაბალი სწავლის შედეგების საშუალო კოეფიციენტის (GPA-ს) მქონე სტუდენტებს საგნების

არჩევა-რეგისტრაციის პერიოდში არ ეძლევათ შესაძლებლობა, აირჩიონ ყველა შემოთავაზებული სალექციო ჯგუფი და დრო, ხოლო, 2-ზე მაღალი GPA-ს მქონე სტუდენტებს, მსგავსი შეზღუდვა არ აქვთ.

### 1.1. უნივერსიტეტის პოზიცია

2018 წლის 18 მარტს, საქმისწარმოების ფარგლებში, ინფორმაცია იქნა გამოთხოვილი „საქართველოს უნივერსიტეტიდან.“ უნივერსიტეტის 2018 წლის 17 აპრილის საპასუხო წერილით განმარტებულია შემდეგი.

*შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ საბაკალავრო და სამაგისტრო დებულების თანახმად, ერთიანი ეროვნული გამოცდებით/საერთო სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხულ პირველ კურსელთა ჯგუფები პირველი სემესტრისათვის იქმნება გამოცდებზე მიღებული საბოლოო სკალირებული ქულების გათვალისწინებით, ხოლო შემდგომი სემესტრებისთვის ჯგუფები იქმნება ბოლო სემესტრის მიხედვით გამოთვლილი სწავლის შედეგების საშუალო კოეფიციენტის (GPA) გათვალისწინებით.*

*სტუდენტებისათვის, რომელთა ბოლო სემესტრის მიხედვით გამოთვლილი სწავლის შედეგების საშუალო კოეფიციენტი (GPA 2,00 (C-) და მეტია, იქმნება ცალკე ჯგუფები, ხოლო სტუდენტებისათვის, რომელთა ბოლო სემესტრის მიხედვით გამოთვლილი სწავლის შედეგების საშუალო კოეფიციენტი (GPA 2,00 (C-) -ზე ნაკლებია იქმნება ცალკე ჯგუფები.*

*ჯგუფების ფორმირების არსებული წესი არ არის დისკრიმინაციული. იგი ეყრდნობა ისეთ ობიექტურ კრიტერიუმს, როგორცაა სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები და მიზნად ისახავს სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას, დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებში სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას და თითოეული სტუდენტისათვის ხარისხიანი განათლების მომსახურების შეთავაზებას.*

საქმისწარმოების ფარგლებში, დამატებით იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია მოპასუხე უნივერსიტეტიდან, რომელმაც 2018 წლის 30 ნოემბრის წერილით განმარტა, რომ საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტების ჯგუფებში განაწილების წესი არ შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციულად, ვინაიდან სტუდენტების მიერ ჯგუფების არჩევის/განაწილების წესი ეყრდნობა ისეთ ობიექტურ კრიტერიუმს, როგორცაა აკადემიური მოსწრება, ამასთან, მიზნად ისახავს სწავლის და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, სტუდენტისათვის ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას რომელშიც სტუდენტიც უკეთ მოახდენს საკუთარი ცოდნის/უნარების წარმოჩენას და ლექტორსაც მეტი შესაძლებლობა ექნება, მოახდინოს ჯგუფში პრობლემების იდენტიფიცირება, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს მასალის ათვისებასთან, გარკვეული უნარების გამომუშავებასთან და სხვა. აკადემიური მოსწრების მიხედვით სტუდენტთა ჯგუფებში განაწილების აუცილებლობა გამომდინარეობს სწავლების მეთოდის სპეციფიკიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას - სწავლის და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

### **1.1.1. უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან პირადი გასაუბრება**

2018 წლის 18 აპრილს სახალხო დამცველის წარმომადგენელი პირადად გაესაუბრა „საქართველოს უნივერსიტეტის“ რექტორის თანაშემწეს [REDACTED] და იურისტ [REDACTED]

გამოკითხულმა პირებმა განმარტეს, რომ უნივერსიტეტში არსებული რეგულაციის მიხედვით, სტუდენტებს არ ეზღუდებათ საგნებისა და ლექტორების არჩევა. მათ შეუძლიათ აირჩიონ სასურველი საგანი და ლექტორი, თუ აკმაყოფილებენ აღნიშნული საგნის გავლის წინაპირობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შეზღუდვა მხოლოდ მოქმედებს შესაბამის საგნებზე შემოთავაზებული ჯგუფების არჩევის დროს. მაგალითის სახით განხილული იქნა პირობითად ორი სტუდენტის შემთხვევა, რომელთაგან ერთს აქვს GPA 1.9, ხოლო მეორეს - 2.9. მათ შეუძლიათ დარეგისტრირდნენ ერთსა და იმავე საგანზე, თუმცა ერთი და იგივე სალექციო ჯგუფის არჩევის საშუალება არ ექნებათ. ზემოხსენებული კრიტერიუმის მიხედვით განსხვავებულ ჯგუფებს ერთი და იგივე ლექტორი სხვადასხვა დროს უტარებს ლექციას ერთსა და იმავე დისციპლინაში. არსებული დიფერენციაციის მოდელი არ გულისხმობს, რომ 2-ნაკლები GPA-ს მქონე ჯგუფში ლექციას ატარებს ნაკლებად კვალიფიციური ლექტორი. სწავლება მიმდინარეობს ერთი და იმავე პერსონალის მიერ, განსხვავებული სპეციფიკით. სხვა ყველა აკადემიური პარამეტრი, მათ შორის, სასწავლო სილაბუსი, ერთნაირია.

ამასთან, უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით, GPA-ს მიხედვით ჯგუფების არჩევის შეზღუდვა განპირობებულია იმ დაშვებით, რომ 2.0-ზე დაბალი GPA-ს მქონე სტუდენტებთან საჭიროა უფრო ინტენსიური და განსხვავებული სპეციფიკის სასწავლო პროცესის წარმართვა. მაღალი და დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების ერთ ჯგუფში გაერთიანება ორივე მათგანისთვის დამაზარალებელი იქნება, ვინაიდან ლექცია უნდა იყოს ზოგადი და იგი ვერ იქნება მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ სტუდენტზე ფოკუსირებული. დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე (2-ზე ნაკლები GPA) სტუდენტებს სჭირდებათ მეტი სამუშაოს გატარება მაღალი აკადემიური მოსწრების (2-ზე მაღალი GPA) სტუდენტებთან შედარებით და ლექციის ერთიან ფორმატში ჩატარების შემთხვევაში, სახეზე იქნებოდა მათ შორის დისბალანსი. არსებული პრაქტიკა კი თანაბარ შანსს აძლევს ნებისმიერ სტუდენტს, მათი აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით, თანაბრად აითვისონ შესასწავლი მასალა.

### **1.2. კომუნიკაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან**

2018 წლის 15 ოქტომბერს, საქმისწარმოების ფარგლებში ინფორმაცია იქნა გამოთხოვილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან, რომელსაც ეთხოვა განმარტება შემდეგ საკითხზე: საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არის თუ არა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილი, მოახდინოს სტუდენტების დიფერენცირება აკადემიური მოსწრების საფუძველზე, კერძოდ, შეიმუშავოს რეგულაცია, რომლის თანახმად, 2-ზე დაბალი და მაღალი GPA-ს მქონე სტუდენტებს საგნების არჩევა-რეგისტრაციის პერიოდში არ მიეცემათ შესაძლებლობა აირჩიონ ყველა შემოთავაზებული სალექციო დრო და ჯგუფი.

2018 წლის 26 ოქტომბერს, სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრიდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსების/მოდულების არჩევის წინაპირობა ვერ იქნება რომელიმე სასწავლო კურსში/კურსებში მიღებული დაბალი შეფასება ან კრედიტის ვერ მოპოვება, ასევე 2-ზე დაბალი GPA-ს ქონა. კონკრეტული საგნის (სასწავლო კურსის/მოდულის) არჩევის შეზღუდვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს არ აქვს დადებითი შეფასება მიღებული იმ სასწავლო კურსში/მოდულში, საგანში, რომელიც წარმოადგენს მომდევნო საგნის/სასწავლო კურსის/მოდულზე დაშვების წინაპირობას. სასწავლო კურსზე/მოდულზე დაშვების წინაპირობები დადგენილია ავტორიზებული ან/და აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამით, რომლის შესახებ ინფორმაცია სტუდენტს უნდა ჰქონდეს სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

2019 წლის 30 ივლისს სახალხო დამცველმა უნივერსიტეტიდან გამოითხოვა ინფორმაცია სადავო წესის შესაძლო ცვლილების თაობაზე.

2019 წლის 7 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული ტელეფონით ესაუბრა „საქართველოს უნივერსიტეტის“ წარმომადგენელს [REDACTED], რომელმაც განმარტა, რომ აღნიშნული წესი არ შეცვლილა.

## 2. სამართლებრივი შეფასება

### 2.1. თანასწორობის პრინციპთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

თანასწორობის უფლება დაცულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი (ძველი რედაქციით მე-14 მუხლი) წარმოადგენს „თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას.... ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.“<sup>1</sup> ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი (ახალი რედაქციით მე-11 მუხლი) ადგენს არა მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობის ძირითად უფლებას, არამედ კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს“<sup>2</sup>

როგორც საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, „კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობის განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისთვის არსებითად თანასწორებს შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწორობებს პირიქით“.<sup>3</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის<sup>4</sup> მე-14 მუხლის თანახმად, ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II, 1

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება N 2/1-393 II, 2

<sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება N 2/1/473, II, 2

<sup>4</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მიღებულია: 1950 წლის 4 ნოემბერი, ძალაშია: 1953 წლის 3 სექტემბერი, საქართველოსთვის ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან

ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული, თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა. ამავე დროს, კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი ითვალისწინებს საერთო აკრძალვას და დისკრიმინაციისგან იცავს კანონით გათვალისწინებულ ნებისმიერ უფლებას.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

დასახელებული მუხლების შინაარსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება, ე.ი. არ ისახავს კანონიერ მიზანს და არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.<sup>5</sup>

## 2.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომლით სარგებლობაში შესაძლოა ხელი შეშლოდა განმცხადებელს

<sup>5</sup> ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom*, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom*, no: 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, §60

დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის შესახებ მსჯელობისას, უნდა დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ადგილი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე უფლებით სარგებლობის შეზღუდვას.

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მიხედვით, ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. აღნიშული პრინციპი ასევე ასახულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მე-3 მუხლი განსაზღვრავს უმაღლესი განათლების მიზნებს, რომელთა მისაღწევად, იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს, უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვა, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით.

ამასთან, იმავე მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამავე კანონით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღია ხასიათს, სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიურ თავისუფლებას, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვისა და ამ დაწესებულებაში კონკურსების საჯაროობასა და გამჭვირვალობას, უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 2 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით დაკონკრეტდა დაცული სფეროების ჩამონათვალი, რის შედეგადაც კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება აგრეთვე სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე, განათლებაზე, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, მათ შორის, განათლების ხელმისაწვდომობაზე.

საერთაშორისო დონეზე, პირის განათლების უფლებას იცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი. ასევე, გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლის თანახმად, სახელმწიფოები აღიარებენ ყველა ადამიანის უფლებას განათლებაზე.

გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი პაქტის მე-13 მუხლზე მსჯელობისას მიუთითებს, რომ განათლება უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველასათვის. ხელმისაწვდომობის პრინციპი თავის თავში მოიაზრებს ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობას როგორც სამართლებრივად, ასევე ფაქტობრივად.<sup>6</sup>

---

<sup>6</sup> იხ. ვებ-გვერდი: UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General Comment No. 13: The Right to Education (Art. 13 of the Covenant), E/C.12/1999/10, 8 December 1999, § 6(b)

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი მიუთითებს, რომ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პრაქტიკის საფუძველზე 2.0-ზე დაბალი GPA-ს მქონე სტუდენტებს, ეზღუდებათ გარკვეული სალექციო ჯგუფების არჩევის შესაძლებლობა. ამრიგად, განსახილველ შემთხვევაში, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს განათლების უფლებაში ჩარევას.

### **2.3. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ პირთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა**

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ დადგინდეს დისკრიმინაცია, პირები არსებითად თანასწორები უნდა იყვნენ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში და ისინი ამა თუ იმ შინაარსით, კრიტერიუმით მსგავს კატეგორიაში, ანალოგიურ გარემოებებში უნდა ხვდებოდნენ, არსებითად თანასწორნი უნდა იყვნენ კონკრეტულ ვითარებასა თუ ურთიერთობებში.<sup>7</sup> ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის შემთხვევაში, განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.<sup>8</sup> სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ დადგენილი წინაპირობა, რომ პირმა უნდა აჩვენოს ანალოგიური პოზიციაში ყოფნა, არ გულისხმობს, რომ შესაძარბელი ჯგუფები იდენტურები უნდა იყვნენ.<sup>9</sup>

განსახილველ შემთხვევაში, განსხვავებული მოპყრობა ხორციელდება აკადემიური მოსწრების ნიშნით და შესაძარბელ სუბიექტებს წარმოადგენენ 2.0-ზე დაბალი და მაღალი GPA-ს მქონე სტუდენტები, ახლადჩარიცხული სტუდენტების შემთხვევაში, კი - პირველ კურსზე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით.

### **2.4. ლეგიტიმური მიზანი და არათანაბარი მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება**

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა, იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონშესაბამისად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია.

ლეგიტიმური მიზნის არ არსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.<sup>10</sup> უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს,

<sup>7</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493, II, 2

<sup>8</sup> ECtHR, D.H. and Others v. the Czech Republic [GC], no. 57325/00, 13/11/2007, § 175

<sup>9</sup> ECtHR, Clift v United Kingdom, no. 7205/07, 22/11/2010, § 66

<sup>10</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება N3/1/531, II, 15

მას გარდაუვლად, რეალურად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების და ინტერესების უზრუნველყოფა.<sup>11</sup>

განსახილველ შემთხვევაში, „საქართველოს უნივერსიტეტში“ მოქმედებს სტუდენტთა დიფერენციაციის წესი, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური მოსწრების ნიშნით განსხვავებულ მოპყრობას. კერძოდ, შესაძარებელ სუბიექტებს წარმოადგენენ 2.0-ზე დაბალი და მაღალი GPA-ს მქონე სტუდენტები (ახლადჩარიცხული სტუდენტების შემთხვევაში, პირველ კურსზე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით), რომლებისთვისაც უზრუნველყოფილია ერთი და იგივე სასწავლო დისციპლინის გავლის საშუალება, თუმცა, სხვადასხვა სალექციო ჯგუფში. საქმეში არსებული მასალების მიხედვით, ამ განსხვავებულ ჯგუფებს ერთი და იგივე ლექტორი უკითხავს ლექციას და სწავლება მიმდინარეობს იდენტური სილაბუსის მიხედვით. განსხვავება არის მხოლოდ სწავლების მეთოდებსა და სპეციფიკაში - დაბალი აკადემიური მოსწრების ჯგუფს (მათ ვისაც GPA აქვს 2.0-ზე დაბალი ანდა ერთიან ეროვნულ გამოცდებში ამავე უნივერსიტეტში ჩარიცხულ სხვა სტუდენტებთან შედარებით სხვა დაბალი ქულები აქვთ) უფრო მეტი დრო ეთმობა მასალის ათვისებისთვის და მეტად ინტენსიურად მიმდინარეობს საკითხების გავლა.

მოპასუხე უნივერსიტეტის პოზიციით, აღნიშნული წესი მიზნად ისახავს სწავლის და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, სტუდენტისათვის ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას რომელშიც სტუდენტიც უკეთ მოახდენს საკუთარი ცოდნის/უნარების წარმოჩენას და ლექტორსაც მეტი შესაძლებლობა ექნება მოახდინოს ჯგუფში პრობლემების იდენტიფიცირება რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს მასალის ათვისებასთან, გარკვეული უნარების გამომუშავებასთან და სხვა.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დასახელებული ლეგიტიმური მიზანი - სწავლის და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა მიიღწეს ჯგუფების რაიმე კრიტერიუმით დაკომპლექტების გზით. თუმცა, განსახილველი ფაქტობრივი გარემოებების კონტექსტში, გამოყენებული საშუალება - სტუდენტების აკადემიური მოსწრების მიხედვით დაყოფა - ვერ ჩაითვლება გამოსადეგ ანუ იმგვარ საშუალებად, რომლითაც პრაქტიკულად შეიძლება დასახული მიზნის მიღწევა.

ამგვარი პირობითი დაყოფა ვერ იქნება გამართლებული უპირველესად ახლადჩარიცხული სტუდენტებისთვის. მოპასუხემ ვერ წარმოადგინა არგუმენტები, თუ როგორ შეიძლება, მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებზე დაყრდნობით, განისაზღვროს სტუდენტის მიერ საუნივერსიტეტო დისციპლინების შესწავლის უნარი და ათვისების შესაძლებლობა. ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმოადგენს უნივერსიტეტში ჩარიცხვის მომენტში სტუდენტის ცოდნის გამოვლენის საშუალებას მხოლოდ ზოგად დისციპლინებში და იგი ვერ იქნება საუნივერსიტეტო აკადემიური სწავლების ფარგლებში სტუდენტის ათვისების უნარისა და აკადემიური შესაძლებლობების განმსაზღვრელი. გამონაკლისი შესაძლოა იყოს არსებული ცოდნის დონის მიხედვით უცხო ენის სწავლება სხვადასხვა სალექციო ჯგუფებში.

---

<sup>11</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/4/557,571,576, II, 23



ამასთან, მოპასუხემ დასაბუთება ვერ იმასთან დაკავშირებით წარმოადგინა, წინა სასწავლო სემესტრის შედეგების მიხედვით სტუდენტების გადანაწილებით, როგორც შეიძლება გაუმჯობესდეს სწავლის ხარისხი.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ სტუდენტები არიან ზრდასრული, დამოუკიდებელი ინდივიდები, რომლებსაც აქვთ უნარი, პირად გეგმებთან დაკავშირებით თავად მიიღონ გადაწყვეტილებები, მათ შორის, დაგეგმონ საკუთარი აკადემიური ცხოვრება. პიროვნული პოტენციალის რეალიზებას კანონმდებლობაც უმაღლესი განათლების ერთ-ერთ მიზნად მოიაზრებს.<sup>12</sup> „საქართველოს უნივერსიტეტის“ ამ მიდგომით კი სტუდენტებს ერთმევათ პიროვნული უნარების ერთიან გარემოში გამოვლენის საშუალება. ამგვარი პრაქტიკა უფლებელყოფს სტუდენტის, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდის უნარს, თავად დაგეგმოს აკადემიური ცხოვრება. წინა სასწავლო სემესტრის განმავლობაში მიღებული შედეგის საფუძველზე მომავალი სემესტრის დაგეგმვა და ხელოვნური ბარიერების შექმნა გულისხმობს სტუდენტის პირადი, დამოუკიდებელი არჩევანის შეზღუდვას. ამასთან, საგულისხმოა, რომ აკადემიური მოსწრების მიხედვით სტუდენტების „სუსტ“ ჯგუფებში გადანაწილება მათ აქცევს სტიგმის ქვეშ, რაც შესაძლოა, ინდივიდისთვის შეურაცხმყოფელიც იყოს.

ეს წესი სტუდენტებს ასევე ართმევს შესაძლებლობას, პრაქტიკული თვალსაზრისით, თავიანთი შეხედულებისამებრ დაგეგმონ აკადემიური ცხოვრება და აირჩიონ სასურველი სალექციო ჯგუფი სასურველ დროს. უნივერსიტეტი ორიენტირებული უნდა იყოს, სტუდენტებს შესთავაზოს მაქსიმალურად მრავალფეროვანი სალექციო ჯგუფები, როგორც აკადემიური ისე ტექნიკური (იგულისხმება ხელსაყრელი დროების არჩევის მრავალფეროვნების საშუალება) თვალსაზრისით. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სტუდენტებს, რომ საუნივერსიტეტო სწავლების პარალელურად, იზრუნონ პრაქტიკული გამოცდილების მიღებაზე, იქნება ეს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება თუ სტაჟირების გავლა. ასევე, უნივერსიტეტი გამორიცხავს სტუდენტის შესაძლებლობას ანდა სურვილს, მეტად დაინტერესდეს და უკეთ შეისწავლოს კონკრეტული საგნები.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს არ აქვს კომპეტენცია, განსაზღვროს, კონკრეტული სტუდენტი, მისი მიმდინარე აკადემიური მოსწრების მიუხედავად, როგორ წარმართავს მომავალ სასწავლო სემესტრს, ასევე, რომელ სტუდენტს რა სახის გონებრივი ძალისხმევის და რა ტიპის სამუშაოს შესრულება უწევს დადებითი ან უარყოფითი შედეგის მისაღებად.

უნივერსიტეტის მითითება სწავლის და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ვერ იქნება გამართლება სტუდენტებისთვის ხელოვნური ბარიერის დაწესებისთვის, რამდენადაც, შეუძლებელია, უნივერსიტეტმა განსაჯოს, რა მიზეზით არის განპირობებული კონკრეტული სტუდენტის დაბალი აკადემიური მოსწრება, მომავალში რომელი დისციპლინების მიმართ გამოხატავს იგი ინტერესს ან ხომ არ გააუმჯობესებს სწავლას. უნივერსიტეტის ამგვარი მიდგომა ავტომატურად არის დაშვება, რომ სტუდენტის ცუდი აკადემიური შედეგი მისი გონებრივი შესაძლებლობებით არის განპირობებული.

---

<sup>12</sup> „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი

აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანს - სწავლის და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას აკადემიური მოსწრების ნიშნით დიფერენცირებული სალექციო ჯგუფების არსებობა. ვერ გაამართლებს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, არსებული წესი ვერ უზრუნველყოფს სწავლის და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და შესაძლოა, უარყოფითი ეფექტის მომტანი იყოს სტუდენტის აკადემიურ ცხოვრებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“ არსებული დიფერენცირებული სალექციო ჯგუფები წარმოადგენს აკადემიური მოსწრების ნიშნით პირდაპირ დისკრიმინაციას განმცხადებლის - [REDACTED] ისა და ყველა იმ სტუდენტის მიმართ, რომელიც ექცევა აღნიშნული წესის რეგულირების სფეროში.

შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20<sup>1</sup> მუხლით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რეკომენდაციით მიმართავს შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ რექტორს და დირექტორებს:

- სწავლების ყველა საფეხურსა და ყველა ფაკულტეტზე გაუქმდეს დიფერენცირებული სალექციო ჯგუფები, რაც ითვალისწინებს 2-ზე ნაკლები და 2-ზე მეტი GPA-ს მქონე სტუდენტებისთვის (ახალჩარიცხული სტუდენტების შემთხვევაში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით) სალექციო კურსების არჩევასთან დაკავშირებული შეზღუდვებს (გამონაკლისს წარმოადგენს უცხო ენის სწავლების ჯგუფები).
- სამომავლოდ, აკადემიური პოლიტიკის დაგეგმვისას, გაითვალისწინოს თანასწორობის პრინციპი.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია



5- 

სახალხო დამცველი